საგანგაშოა, რომ შსს მაღალჩინოსანი, რომელსაც მნიშვნელოვანი საპოლიციო ფუნქცია აკისრია, საჯაროდ ავრცელებს

ძალადობრივი პრაქტიკების მუქარას

2024 წლის 28 მაისს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა, ზვიად ხარაზიშვილმა, ჟურნალისტებთან დაადასტურა, რომ სპეცრაზმი მოქალაქეებს სცემს და ამისთვის წინასწარ შედგენილი სია არსებობს (□□□ ახალგაზრდებს არ ვცემ, მე ვცემ არაკაცებს. □ია გვაქვს ☠ A□□ საგანგაშოა, რომ შსს მაღალჩინოსანი, რომელსა მნიშვნელოვანი საპოლიციო ფუნქცია აკისრია, საჯაროდ ავრცელებს ძალადობრივი პრაქტიკების მუქარას. ამას, ცხადია, სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის წამახალისებელი ეფექტი აქვს.

□ღნიშნული განცხადება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მიმდინარე მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობას ხელისუფლება უკანონო და ადამიანის ღირსების შემლახავ, ძალადობრივ მეთოდებს მიზანმიმართულად იყენებს.

□ანსაკუთრებით საგანგაშოა, რომ რუსული კანონის ინიცირების შემდეგ, ადგილი ჰქონდა სამართალდამცავთა მხრიდან შესაძლო წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის არაერთ შემთხვევას. აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური მსგავს შემთხვევებს ადეკვატურ სამართლებრივ კვალიფიკაციას არ აძლევს და გამოძიებას ყოველთვის სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით წარმართავს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

□ოვუწოდებთ:

□ინაგან საქმეთა სამინისტროს - უარი თქვას ძალადობრივ და ადამიანის უფლებების დამრღვევ პრაქტიკაზე, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება და დემონსტრანტების ფიზიკური უსაფრთხოება.

□სს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს - არ შეასრულონ უკანონო ბრძანებები. □ევახსენებთ მათ, რომ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულებების შესრულება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ საგამოძიებო სამსახურს - ჰქონდეს ეფექტიანი რეაგირება სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის შემთხვევებზე, რაც, მათ შორის, გამოიხატება ძალადობის შემთხვევებისთვის სწორი კვალიფიკაციის მიცემაში. გამოკითხოს, ასევე, ზვიად ხარაზიშვილი და ჩატარდეს მისი განცხადების საპასუხოდ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.